საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გურზმუცელა ნემსიყლაპია

გურზმუცელა ნემსიყლაპია

გურზმუცელა ნემსიყლაპია,(Cordulegaster insignis), მწერი გურზმუცელასებრთა ოჯახისა. მკვეთრი შეფერილობის მოზრდილი ნემსიყლაპიაა. გავრცელებულია წინა აზიაში, პელოპონესის ნ.-კ-ზე (საბერძნეთი), ამიერკავკ. და შუა აზიის მთებში, საქართველოში – მხოლოდ ლაგოდეხში. იშვიათი სახეობაა. უფრო ხშირად გვხვდება არაქსის შუა დინების მიდამოებში და ყარაბაღის ზეგანზე. ბინადრობს მთის მდინარეებსა და ანკარა ნაკადულებთან. ფრენს მაისის ბოლოდან ივლ. ბოლომდე. მთაში ვრცელდება ზ. დ. 1300 მ-მდე, ეკოლ. თვალსაზრისით მეტად საინტერესო სახეობაა. ახასიათებს ინტენს. ფორმათწარმოქმნის პროცესი. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში".